

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9-36
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. შესაბამისობის ანგარიში	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	13
4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები	22
5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები	23
6. ძირითადი საშუალებები	25
7. მარაგები	26
8. ბიოლოგიური აქტივები	26
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
10. ფული და ფულის ექვივალენტები	27
11. კაპიტალი	27
12. სესხები	28
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
14. შემოსავალი	29
15. რეალიზაციის თვითღირებულება	29
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	30
17. პირობითი ვალდებულებები	30
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
19. რეალური ღირებულების განსაზღვრა	32
20. ფინანსური ინსტრუმენტები	32
21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	36
მმართველობითი ანგარიშგება	37

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პოულტრი ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის („შემდგომში - ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბრის.

ზურაბ ჭუჭულაშვილი
დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს პოულტრი ჯორჯია ჯგუფი-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობით დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს პოულტრი ჯორჯია-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

შპს „პოულტრი ჯორჯია“-ს 100%-იანი დამფუძნებელია სააქციო საზოგადოება „პოულტრი ენტერპრაისის“ რეგისტრირებული კვიპროსში, რეგისტრაციის ნომერით: HE344712. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარეების შესახებ, როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბას“) 24-ის შესაბამისად.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცენოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერსიების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერსიების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ეშუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფ"-ის სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2018 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	25,748	26,467
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(22,565)	(19,933)
ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით			
შეფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	8	1,839	(1,109)
საერთო მოგება		5,022	5,425
მიწოდების ხარჯები		(576)	(443)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,757)	(3,855)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		22	19
საპროცენტო ხარჯი		(637)	(695)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(449)	138
მოგება მოგების გადასახადებამდე		(375)	589
მოგების გადასახადი		(1)	-
პერიოდის მოგება		(376)	589

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,199	6,395	7,603
არამატერიალური აქტივები		133	135	118
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,332	6,530	7,721
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	4,112	4,888	4,119
ბიოლოგიური აქტივები	8	6,000	4,608	5,283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,537	3,177	2,966
წინასწარ გადახდილი ხარჯები		91	83	83
ფული და ფულის ექვივალენტები	10	314	202	77
სულ მიმდინარე აქტივები		13,054	12,958	12,528
სულ აქტივები		18,386	19,488	20,249
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	11	595	595	595
გაუნაწილებელი მოგება		9,012	9,682	9,853
სულ კაპიტალი		9,607	10,277	10,448
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	890	114	8,108
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		50	80	4
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		940	194	8,112
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	12	5,258	6,597	9
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,135	2,036	1,290
საგადასახადო ვალდებულებები		446	384	390
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,839	9,017	1,689
სულ ვალდებულებები		8,779	9,211	9,801
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,386	19,488	20,249

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	595	9,853	10,448
სულ წლის სრული შემოსავალი	-	589	589
დივიდენდის გაცემა	-	(760)	(760)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	595	9,682	10,277
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 2)	-	(289)	(289)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული)	595	9,393	9,988
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(376)	(376)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	595	9,017	9,612

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
მოგება მოგების გადასახადის მერე		(376)	589
კორექტირებები:			
მოგების გადასახადი		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		563	241
საპროცენტო ხარჯი		637	695
ბიოლოგიური აქტივების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(1,839)	1,109
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,416	1,860
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან		(22)	(19)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		379	4,475
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(190)	(468)
მარაგების შემცირება შემცირება/(ზრდა)		776	(769)
ბიოლოგიური აქტივების შემცირება/(ზრდა)		448	(434)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება		22	55
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		287	340
გადახდილი პროცენტი		(631)	(642)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(63)
მიღებული პროცენტი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		1,091	2,494
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხა		(458)	(1,142)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული თანხები		239	472
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(219)	(670)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები		1,760	-
სესხების გადახდით გასული თანხები		(2,338)	(1,341)
დივიდენდის გაცემა		(174)	(333)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(752)	(1,674)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		120	150
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	202	77
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე		(8)	(25)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	314	202

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:სს

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პოულტრი ჯორჯია დაფუძნდა 2002 წლის 14 მაისს. მისი რეგისტრირებული ოფისის მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, მეფრინველეთა ქუჩა #1.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა კვერცხის, ბროილერის ჯიშის ქათმის ხორცის, ბროილერის ჯიშის ერთდღიანი წიწილასა და მეკვერცხული ქათმის ხორცის წარმოებას და რეალიზაციას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის 100%-ანი ბენეფიციარი მესაკუთრე იყო სააქციო საზოგადოება პოულტრი ენტერპრაისის, კვიპროსი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებული იყო 367, 412 და 427 ადამიანი, შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2018 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2017 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2017 წლის 1 იანვარი, მფლობელობა	დაარსების წელი	ყიდვის წელი	ინდუსტრია
შპს კოდა+	100%	100%	100%	2010	2010	კოდას მაღაზიების ქსელში ვაჭრობა

2. შესაბამისობის ანგარიში

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2018 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და შესაბამისი განმარტებები);
- ფასს 2 (შესწორება) - აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება;
- ბასს 40 (შესწორება) - საინვესტიციო ქონების გადაცემა;
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი;
- შესწორება ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასიკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ჯგუფმა ფასს 15 და ფასს 9 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა.

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ჯგუფმა ფასს 9 გამოიყენა საწყისი გამოყენების თარიღით - 2017 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უჩვენებს მას ბასს 39-ის შესაბამისად. ფასს 9-ის გამოყენებით გამოწვეული სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აისახა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი იყო:

	31 დეკემბერი 2017	ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი	1 იანვარი 2018
აქტივები			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,523	-	4,523
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	194	-	194
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	-	8
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(1,548)	(289)	(1,837)
სულ აქტივები	3,177	(289)	2,888
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	9,682	(289)	9,393
სულ კაპიტალი	9,682	(289)	9,393

აღნიშნული კორექტირების ხასიათი იხილეთ ქვემოთ:

ფასს 9-ის მიღებით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება 289 ათასი ლარით შემცირდა, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი გაიზარდა 289 ათასი ლარით.

ფასს 9-ის მიღებას 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ქონია არსებით ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვლდა ფორვარდული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, ჯგუფი ვალდებულია, მსდ-ის რეზერვი აღიაროს ყველა სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული, მოგება-ზარალში და სახელშეკრულებო აქტივებში.

ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს შემდეგ სტანდარტებს: ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელშიც ასახულია კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობა.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. გარდა ამისა, სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფმა ფასს 15 2017 წლის 1 იანვრიდან მიიღო. ფასს 15-ის გამოყენებას არსებითი ეფექტი არ ქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

- ფასს 16 - იჯარა¹;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები²;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით¹;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში³;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი¹.
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება³;
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა⁴;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)⁵.

¹. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

². ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

³. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

⁴. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტულად ან პროსპექტულად გადაანგარიშების გარეშე;

⁵. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16: C5(6) შესაბამისია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ დღეს, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის, მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლადანაზღაურებიანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობის აქტივების შემთხვევაში, კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული გამონაკლისის საშუალება და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, კომპანია შეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალდირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდევ.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორება საგრძნობ ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს ოთხი სტანდარტის შესწორებას: ფასს 3 “ბიზნესების გაერთიანება”, ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობა”, ბასს 12 “მოგების გადასახადები” და ბასს 23 “სესხის აღების ხარჯები”.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, თუ განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა აღებული სესხის რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადააფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არაღიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ადრე ფლობილი წილები.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს:

- განსაზღვრონ, გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და
- შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დარიცხვის წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში:
 - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დარიცხვასთან თანმიმდევრულად.
 - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა გაურკვევლობის ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია ჯგუფის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე წილების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლელა და წმინდა თანხით აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც ჯგუფი ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ჯგუფი შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ლარი /1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ლარი /1 ევრო	3.0701	3.1044	2.7940

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აკარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ჯგუფში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება ნაშთის შემცირებადი მეთოდით:

შენობა-ნაგებობები	8%-10%
მანქანა-დანადგარები	5%-15%
ოფისის აღჭურვილობა	12%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5%-15%
სატრანსპორტო საშუალებები	5%-15%
სხვა ძირითადი საშუალებები	5%-20%

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდვეი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების ყიდვასა და ადგილზე მიტანისას გაწეულ ხარჯებს. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფი დაკავებულია კვერცხის, ბროილერის ჯიშის ქათმის ხორცის, ბროილერის ჯიშის ერთდღიანი წიწილასა და მეკვერცხული ქათმის ხორცის წარმოებით და რეალიზაციით.

ბიოლოგიური აქტივები შედგება კვერცხისმდებელი ქათმებისგან. ბიოლოგიური აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ნაკლები გასაყიდ ღირებულებაზე, დაფუძნებული ასაკის, ჯიშის და გენეტიკური კეთილდღეობის საბაზრო ფასების მიხედვით, რათა აისახოს ცვლილებები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ბიოლოგიური პროცესი იწყება ერთდღიანი წიწილის გაზრდით და მთავრდება კვერცხის წარმოებით. ამ პროცესის თანმიმდევრულად კვერცხის რეალური ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით, რათა განისაზღვროს პროდუქტის სავარაუდო ღირებულება საწარმოო პროცესში გადასვლისათვის და უზრუნველყოს შენახვის და კვერცხის ხარჯების სათანადო განაწილება.

საფრინველე მეურნეობის სამართლიანი ღირებულების ცვლილებები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საწარმოო (მეურნეობის) ხარჯები კვების, შრომითი, საფრინველე მეურნეობის მოვლის და ვეტერინარული მომსახურებით გაწეული ხარჯები. საფრინველე მეურნეობის შეძენისა და სატრანსპორტო ხარჯები კაპიტალიზირდება როგორც ბიოლოგიური აქტივების ნაწილი.

საფრინველე მეურნეობის სამართლიანი ღირებულების გაზომვაში საჭიროა სხვადასხვა მენეჯმენტის შეფასებები და გადაწყვეტილებები:

საფრინველე მეურნეობა

მეურნეობის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას შეფასებები და გადაწყვეტილებები დაკავშირებულია საბაზრო ფასებთან, ქათმის საშუალო წონასა, ხარისხზე და სიკვდილიანობის მაჩვენებლებზე.

ფრინველების შესახებ ინფორმაცია საბაზრო ფასებზე აღებულია ადგილობრივი ბაზრებიდან. საფრინველე მეურნეობა იზრდება სხვადასხვა განაკვეთით და შეიძლება იქნას გავრცელებული ქათმის ხარისხსა და პროდუქტიულობაში და რაც გავლენას ახდენს ფასზე. მეფრინველეობისთვის საშუალო პროდუქტიულობა ითვლება მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კვერცხის დებას.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები.

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედი ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლოზის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვალებებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი

ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს საქონლის და სერვისის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიკირებული გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ, მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. ჯგუფის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

ჯგუფი, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდიწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვექვე დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია ჯგუფისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

წინა პერიოდის გამორჩენილი მონაცემები და შეცდომები.

ჯგუფმა წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს.

ხელმძღვანელობამ გამოავლინა და რეტროსპექტიულად გაასწორა შეცდომები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ პუნქტებში:

	ანგარიშგებული	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2017
ძირითადი საშუალებები	7,500	(1,105)	6,395
ბიოლოგიური აქტივები	-	4,888	4,888
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,611	434	3,177
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,044	8	2,036
გაუნაწილებელი მოგება	6,179	3,503	9,682
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1 იანვარი 2017		1 იანვარი 2017
ძირითადი საშუალებები	8,927	(1,324)	7,603
ბიოლოგიური აქტივები	-	4,119	4,119
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,363	(397)	2,966
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,687	(397)	1,290
გაუნაწილებელი მოგება	5,895	3,958	9,853

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლამდე ჯგუფში არ ხდებოდა კვერცხისმდებელი ქათმების რეალური ღირებულების განსაზღვრა როგორც ეს მოითხოვება ბასს 41-ის მიხედვით. რეალური ღირებულების განსაზღვრა არ ხდებოდა იმიტომ რომ არსებობდა ვარაუდი, რომ შეუძლებელია კვერცხისმდებელი ქათმების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება ბასს 41 (30). 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი რომლის მიხედვითაც ხდება კვერცხისმდებელი ქათმების რეალური ღირებულების განსაზღვრა და შეცვალა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოიყენა რეტროსპექტულად. რეტროსპექტული გამოყენების შედეგად შეიცვალა ძირითადი საშუალებების ნაშთი სადაც მანამდე თვითღირებულებით იყო აღრიცხული ბიოლოგიური აქტივები და ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ბიოლოგიური აქტივები აღირიცხა ბიოლოგიური აქტივების ნაშთში რეალური ღირებულებით.

ასევე 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, სადაც მოხდა შინაარსობრივად ერთ ოპერაციასთან დაკავშირებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ერთმანეთთან გაქვითვა.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსურ ანგარიშგებებში შევიდა გარკვეული რეკლასიფიკაციები და ამ გზით მოხდა 2018 წლის 31 დეკემბრის საპრეზენტაციო ფორმის დაცვა. რეკლასიფიკაცია შეეხო 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავალს.

(ქართული ლარი)	წინა ჩვენებით 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	რეკლასიფიკაცია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	წინა ჩვენებით 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	აღწერა
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7,077	(3,320)	3,757	ნაწილი ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი რეკლასიფიცირდა რეალიზაციის თვითღირებულებაში ხოლო ნაწილი რომელიც ეკუთვნოდა ბიოლოგიური აქტივების ცვეთას დაკორექტირდა ბიოლოგიურ აქტივებზე სანამ მოხდებოდა მათი რეალური ღირებულებით შეფასება
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7,077	(3,320)	3,757	

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება								
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	125	7,353	13,527	355	477	1,707	9	23,553
დამატება	-	90	109	19	1	100	139	458
ჩამოწერა	-	-	(99)	-	-	(4)	(144)	(247)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	125	7,443	13,537	374	478	1,803	4	23,764
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	-	(5,374)	(10,096)	(305)	(407)	(976)	-	(17,158)
ცვეთის ხარჯი	-	(452)	(813)	(13)	(18)	(119)	-	(1,415)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	4	-	-	4	-	8
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	(5,826)	(10,905)	(318)	(425)	(1,091)	-	(18,565)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	125	1,979	3,431	50	70	731	9	6,395
31 დეკემბერი 2018	125	1,617	2,632	56	53	712	4	5,199

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია მოხმარებაში არსებული სრულად გაცვეთილი აქტივები.

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

7. მარაგები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საკვები და ძირითადი ნედლეული	897	1,757
მოსახმარი ინვენტარი	879	809
მზა პროდუქცია	743	552
ფრინველი წარმოებაში	683	1,079
შესაფუთი მასალები	379	265
დაუმთავრებელი წარმოება	176	62
ვაქცინები და მედიკამენტები	107	106
სხვა	248	258
სულ მარაგები	4,112	4,888

8. ბიოლოგიური აქტივები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
კვერცხისმდებელი ქათმები	6,000	4,608	5,283
სულ ბიოლოგიური აქტივები	6,000	4,608	5,283
	2018	2017	
რეალური ღირებულება 1 იანვარს	4,608	5,283	
ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასებიდან			
მიღებული მოგება/(ზარალი)	1,839	(1,108)	
დამატება	2,380	2,934	
შემცირება რეალიზაციის თვითღირებულებაში გადატანით	(2,827)	(2,499)	
რეალური ღირებულება 31 დეკემბერს	6,000	4,608	

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,713	4,523	4,678
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	217	194	164
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	8	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,937	4,725	4,842
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(2,400)	(1,548)	(1,876)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გამოკლებით	2,537	3,177	2,966

9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის დინამიკა შემდეგია:

	2018	2017	2016
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის	(1,837)	(1,548)	(1,876)
კორექტირება ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის გამოყენებისას	-	(289)	-
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	(1,837)	(1,837)	(1,876)
დარიცხული გაუფასურება	(563)	-	-
გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში	-	-	-
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის	(2,400)	(1,837)	(1,876)

10. ფული და ფულის ექვივალენტები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	16	16
ფული ბანკში	298	186
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	314	202

11. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 595 ათასი ლარი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ანი ბენეფიციარი მესაკუთრე იყო სააქციო საზოგადოება პოულტრი ენტერპრაისის, კვიპროსი.

დივიდენდები

ჯგუფის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდი.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა 760 ათასი ლარის დივიდენდი.

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

12. სესხები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სს საქართველოს ბანკი	ლარი	11.5%	10/09/2019	3,003	3,003
სს საქართველოს ბანკი	ლარი	11.5%	01/10/2021	1,008	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	11.5%	10/09/2019	1,001	961
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	7.5%	05/06/2019	953	-
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	0%	07/06/2019	62	175
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	0%	30/08/2019	54	124
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	0%	24/01/2022	48	85
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4%	27/07/2019	19	51
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	7.5%	05/06/2019	-	2,312
სულ სესხები				6,148	6,711

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ერთ წლამდე	5,298	6,597
ერთ წელზე მეტი	890	114
სულ	6,148	6,711

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2018
აღებული სესხები	6,711				6,148
	1 იანვარი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2017
აღებული სესხები	8,117	(1,342)	52	(116)	6,711

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	1,738	1,458	1,133
გადასახდელი დივიდენდი	253	427	-
გადასახდელი ხელფასები	116	110	141
სხვა ვალდებულებები	28	41	16
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,135	2,036	1,290

14. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგის რეალიზაციისგან:

	2018	2017
შემოსავალი სასურსათო პროდუქციიდან	25,029	26,239
ნედლეული და მასალებიდან მიღებული შემოსავალი	569	145
შემოსავალი სასაკლავოს მომსახურებიდან	90	57
შემოსავალი ექსპორტიდან	45	-
სხვა	15	26
სულ შემოსავალი	25,748	26,467

15. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგის რეალიზაციისგან:

	2018	2017
ნედლეულის და მასალების თვითღირებულების ხარჯები	19,966	17,661
მარაგების ჩამოწერის ხარჯები	1,407	734
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,106	1,484
სხვა თვითღირებულების ხარჯები	86	54
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	22,565	19,933

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგის რეალიზაციისგან:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1,835	1,960
საწვავის ხარჯები	364	301
ცვეთა და ამორტიზაცია	315	376
საგადასახადო ხარჯები	166	187
რემონტის ხარჯები	127	169
კომუნალური ხარჯები	141	137
დაცვის ხარჯები	118	115
საკონსულტაციო ხარჯები	84	44
იჯარის ხარჯები	72	92
სხვა	535	474
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,757	3,855

17. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუზღოვებელი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს ჯგუფის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშემშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	22
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	4

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	-	114

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	14
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	-	134

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	10
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

დირექტორებისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება წლის განმავლობაში იყო:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	114	134

19. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სულ სესხები (შენიშვნა 12)	6,148	6,711	8,117
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	(314)	(202)	(77)
წმინდა სესხები	5,834	6,509	8,040
 სულ კაპიტალი	 9,607	 10,277	 10,448
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	60.7%	63.3%	77%

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

საბაზრო რისკი

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. ჯგუფი ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას. ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით იყო:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	USD 1 = 2.6766 GEL	EUR 1 = 3.0701 GEL	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1	-	3	-
სულ ფინანსური აქტივები	1	-	3	-
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	1,116	-	2,697	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,116	-	2,697	-
სულ წმინდა პოზიცია	(1,115)	-	(2,694)	-

	1 იანვარი 2017	
	USD 1 = 2.6468 GEL	EUR 1 = 2.7940 GEL
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	-
სულ ფინანსური აქტივები	4	-
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	4,108	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,108	-
სულ წმინდა პოზიცია	(4,104)	-

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2018 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(112)	112	-	-

2017 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(269)	269	-	-

2017 წლის 1 იანვარი:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(410)	410	-	-

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. ჯგუფში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

2018 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2018 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	314	-	314
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,537	-	2,537
სულ ფინანსური აქტივები	2,851	-	2,851
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,135	-	2,135
სესხები	890	5,258	6,148
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,025	5,258	8,283
ლიკვიდობის დეფიციტი	(174)	(5,258)	(5,432)
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(174)	(5,432)	(5,432)

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

2017 წლის 31 დეკემბერი:

	<u>0 – 1 წლამდე</u>	<u>1 წელზე მეტი</u>	<u>31 დეკემბერი 2017 სულ</u>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	202	-	202
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,177	-	3,177
სულ ფინანსური აქტივები	3,379	-	3,379
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,036	-	2,036
სესხები	6,597	114	6,711
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,633	114	8,747
ლიკვიდობის დეფიციტი	(5,254)	(114)	(5,368)
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(5,254)	(5,368)	(5,368)

2017 წლის 1 იანვარი:

	<u>0 – 1 წლამდე</u>	<u>1 წელზე მეტი</u>	<u>1 იანვარი 2017 სულ</u>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	77	-	77
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,966	-	2,966
სულ ფინანსური აქტივები	3,043	-	3,043
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,290	-	1,290
სესხები	9	8,108	8,117
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,299	8,108	9,407
ლიკვიდობის დეფიციტი	1,744	(8,108)	(6,364)
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	1,744	(6,364)	(6,364)

21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

მმართველობითი ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

შპს პოულტრი ჯორჯია (ს/კ 226530448) დაფუძნდა 2002. სათაო ოფისი და მეფრინველეობის ფერმა მდებარეობს თბილისში, ლილოს დასახლებაში, მეფრინველეთა ქუჩა #1ა-ში.

2008 წლის 27 აგვისტოს, შპს თბილისის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი და შპს პოულტრი ჯორჯია შეერწყა.

კომპანიის წილის 100%-ის მფლობელს წარმოადგენს სააქციო საზოგადოება პოულტრი ენტერპრაისი(HE344712 /კვიპროსი).

კომპანია ფლობს ხარისხის სერტიფიკატს ISO 22000:2005, რაც მეტყველებს კომპანიის წარმატებასა და საერთაშორისო აღიარებაზე.

კომპანიის ძირითადი მიმართულებები

შპს პოულტრი ჯორჯიას ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფრინველის (ქათმის) კვერცხის, ბროილერის ჯიშის ქათმის ხორცისა და ქათმის სუბპროდუქტების წარმოება, ბროილერის ჯიშის ერთდღიანი წიწილისა და მეკვერცხული ქათმის ხორცის წარმოება, რომლებიც მომხმარებელს მიეწოდება სავაჭრო ნიშნით.

შპს პოულტრი ჯორჯია განლაგებულია თბილისში, ლილოს დასახლებაში, მეფრინველეთა ქუჩა #1ა-ში. 86 ჰა მიწის ფართობზე, საიდანაც 6 ჰა-ზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა და ინფრასტრუქტურა.

2005 წლამდე კომპანია იყენებდა მოძველებულ მანქანა-დანადგარებს, რაც ხელს უშლიდა ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას. ამის გამო, რეინვესტირების ხარჯზე მოხდა მანქანა-დანადგარების მოდერნიზაცია. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა დაიწყო 2005 წლიდან და დღემდე რეინვესტირებულ თანხას წარმოადგენს 9.2 მლნ აშშ დოლარი. 6.3 მლნ აშშ დოლარი მოხმარდა მეკვერცხული ფრინველის გამოზრდასა და კვერცხის წარმოებას, ხოლო 2.9 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა მეხორცული ბროილერის ჯიშის ქათმის ხორცის წარმოების გადართობისთვის.

მეკვერცხული ფრინველის გამოზრდა მიმდინარეობს ცალკე საწარმოო ზონაში, რისთვისაც გამოიყენება ორი ორგანოფილიანი საფრინველე. თითო საფრინველის განყოფილებებში გამოიზრდება 60 000 და 30 000 ფრთა მოზარდი ფრინველი, რაც ჯამურად, ორივე საფრინველეში, წარმოადგენს 180,000 ფრთა ფრინველს. გამოზრდისათვის გამოიყენება უკრაინული ფირმა ტენას საფრინველის მოწყობილობა-დანადგარები.

მეკვერცხული ფრინველის საწარმოო ზონაში მოქმედებს 8 საფრინველე, თითოეული გათვლილია 60,000 ფრთა ფრინველზე. საფრინველეები აღჭურვილია თურქული კულტუსანის ფირმის მოწყობილობა-დანადგარებით.

მეკვერცხულ ზონაში საფრინველეში კლიმატური პირობების მართვა, საკვების მიწოდება და კვერცხის აკრეფა მთლიანად კომპიუტიზირებულია. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ საფრინველის გათბობის აუცილებლობა მთლიანად გამორიცხა.

კვერცხის წარმოების წლიური საწარმოო სიმძლავრეა 100–110 მილიონი სუფრის კვერცხი. დღეისათვის ათვისებულია საწარმოო სიმძლავრის 80-85%. კვერცხი ხარისხდება წონის მიხედვით..

ზაფხულის პერიოდში პროდუქციის შესანახად გამოიყენება 3,600,000 ცალ კვერცხზე გათვლილი საწყობმაცივარი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კლიმატკონტროლის კომპიუტიზირებული სისტემით.

კომპანიამ 2010 წლიდან თანამედროვე გერმანული ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე განაახლა მეხორცული ბროილერის ჯიშის ქათმის ხორცის წარმოება. ბროილერის წარმოება აღიჭურვა გერმანული ბიგ დაჩმენის

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

საფრინველის მოწყობილობებითა და ფრინველის გამოზრდის თანამედროვე კლიმატკონტროლის კომპიუტერული სისტემებით.

ბროილერის საწარმოო ზონა მოიცავს 9 საფრინველს, თითოეულ არია 10-12 ათასი ფრთის ტევადობის. საბროილერე წარმოების წლიური საწარმოო სიმძლავრეა 1,200 - 1,400 ტონა ბროილერის ხორცპროდუქტი.

2014 წლის თებერვალში მოხდა ბროილერის ჯიშის ქათმის გამოსაზრდელად არსებული საწარმოო სიმძლავრეების რეკონსტრუქცია, კერძოდ, გაკეთდა 8-9 ათას ფრთა ქათამზე გათვლილი ბროილერის მეკვერცხულის გამოსაზრდელი და ამდენივე ქათამზე გათვლილი ბროილერის მეკვერცხულის საფრინველე.

2014 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყო მეხორცეული ჯიშის ბროილერის საინკუბაციო კვერცხის წარმოება. წლიურად დაგეგმილია 1,800,000 - 2,000,000 ცალი საინკუბაციო კვერცხის წარმოება, რომლებიც ინკუბაციის შემდეგ ბროილერის ერთდღიანი წიწილის სახით, ძირითადად გამოიყენება ბროილერის ხორცის წარმოებაში და ასევე მიეწოდება მცირე მეწარმეებს.

შპს პოულტრი ჯორჯიას გააჩნია ამავე ტერიტორიაზე საკვებსაამქრო, რომელზეც ავტომატურად არის მიღებული 6,500 ტონის მოცულობის სასილოსე მეურნეობა, რომელიც შედგება თურქული ასენას ფირმის 3 ცალი 1,500 ტონიანი სილოსისა და 25 ოთხმოცტონიანი კაპიტალური ბუნკერისაგან. საკვებსაამქროს ასევე გააჩნია სილოსები 150 ტონა მზა საკვების შესანახად. წარმოებას საკუთრებაში აქვს რკინიგზის ჩიხი.

წარმოებას ცენტრალური ენერგოკვების გარდა გააჩნია საკუთარი 500 და 200 კვტ-იანი დიზელგენერატორი, რომელიც კომპიუტერული პროგრამის საშუალებით სინქრონულადაა ჩართული ცენტრალურ ენერგოსისტემასთან. შპს პოულტრი ჯორჯიას მიერ რეალიზებული პროდუქციის 55% მოდის თბილისზე, დანარჩენი 45% - საქართველოს სხვადასხვა რეგიონზე. შპს პოულტრი ჯორჯია ერთ-ერთი დიდი კომპანიაა საქართველოს მეფრინველეობის დარგის საწარმოებს შორის და საქართველოს ბაზარზე უკავია ქათმის კვერცხის სარეალიზაციო ბაზრის 30-33%.

კომპანია თავისი პროდუქციის რეალიზაციას თბილისში ახდენს საკუთარი დისტრიბუციის სამსახურის, ხოლო რეგიონებში-ექსკლუზიური დისტრიბუტორების საშუალებით. სადისტრიბუციო სამსახური შედგება 23 ეკიპაჟისგან, რომელთა სადისტრიბუციო ავტომობილები სათანადოა აღჭურვილი.

ამასთან ერთად, თბილისში კომპანიის საკუთრებაშია 14 მინი საფრინო ჯიხური, რომლებსაც კომპანია ფლობს იჯარით, სახელმწიფო ტენდერის შედეგად.

2019 წელს კომპანიას დაგეგმილი აქვს კვერცხის დახარისხების ორი ცალი აპარატის შეძენა, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროდუქციის მიღებას. შესაბამისად, სახელფასო ფონდი შემცირდება და ასევე შემცირდება წარმოებული კვერცხის თვითღირებულება.

კომპანიამ 2010 წლის 7 ივნისს დააფუძნა ასპროცენტის (100%) წილით შპს „კოდა +“ (ს/ნ 404864107), რომლის საკუთრებაშია 98,96 კვ.მ სავაჭრო ფართი და 24,25 კვ.მ სარდაფი თბილისში, პეკინის ქუჩა 7 ნომერში და 100,26 კვ.მ სავაჭრო ფართი თბილისში, კეკელიძის ქუჩა 16 ნომერში. შპს „კოდა +“-ის საქმიანობას წარმოადგენს სურსათით ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება პეკინის 7 ნომერში, ხოლო კეკელიძის ფართი გაცემული აქვს იჯარით.

შპს „პოულტრი ჯორჯია“-ში დასაქმებულთა რაოდენობა, მიმდინარე პერიოდისთვის, შეადგენს 415 კაცს.

მეფრინველეობის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

ფრინველის (ქათმის) კვერცხის ბაზარი ძირითადად გაჯერებულია ადგილობრივი მწარმოებლებით. რაც შეეხება ფრინველის ხორცის ბაზარს, აქ კვლავ პრობლემად რჩება საზღვარგარეთიდან საინკუბაციო კვერცხისა და ერთდღიანი წიწილის შემოყვანა. ასევე, კომბინირებული საკვებისათვის საჭირო ინგრედიენტებისა და მოწყობილობა-დანადგარების შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი პროდუქციის თვითღირებულებას და შესაბამისად, გზა ეხსნება შედარებით იაფ, იმპორტულ პროდუქციას. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში მეფრინველეობის სფერო მნიშვნელოვნად ვითარდება.

ბაზრის მნიშვნელოვან წილს ფლობენ შემდეგი კომპანიები: კოდა, ჩირინა, დილა, კუმისი, ალგეთი, საგარეჯო, სავანეთი და პატარძელი.

ძირითადი დაშვებები

როგორც წესი, ფინანსური პროგნოზების შედგენა ხდება დაშვებებზე დაყრდნობით. თითოეულმა დაშვებამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს შედეგზე და სრულიად განსხვავებულ დასკვნამდე მიგვიყვანოს.

კომპანიის გაყიდვებმა მიაღწია სტაბილურ მდგომარეობას (სიმწიფის სტადიას) და შესაბამისად, აღარ იგეგმება წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. წარმოების მოცულობა იზრდება მხოლოდ პროგნოზირებული პერიოდის შემდეგ პერიოდში, მუდმივი 2%-ით.

მართვა და კადრები

კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო სამი წევრის შემადგენლობით, თუმცა ადმინისტრირებაზე უფლებამოსილება აქვს გენერალურ დირექტორს. კომპანიის სტრუქტურა შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება გენერალურ დირექტორს ან/და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

კომპანიის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია.

პერიოდულად გადამზადდება კომპანიაში დასაქმებული სპეციალისტები კვალიფიკაციის შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით ლიცენზირებულ შესაბამის სამსახურებში.

კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. შპს „პოულტრი ჯორჯია“-ში დასაქმებულია დაახლოებით 415-მდე თანამშრომელი. კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ.

თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ემუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფ"-ის სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2018 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პოულტრი ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის („შემდგომში - ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

ზურაბ ჭუჭულაშვილი
დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	25,748	26,467
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(22,565)	(19,933)
ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	8	1,839	(1,109)
საერთო მოგება		5,022	5,425
მიწოდების ხარჯები		(576)	(443)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,757)	(3,855)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		22	19
საპროცენტო ხარჯი		(637)	(695)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(449)	138
მოგება მოგების გადასახადებამდე		(375)	589
მოგების გადასახადი		(1)	-
პერიოდის მოგება		(376)	589

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილ და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი



პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
მირითადი საშუალებები	6	5,199	6,395	7,603
არამატერიალური აქტივები		133	135	118
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,332	6,530	7,721
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	4,112	4,888	4,119
ბიოლოგიური აქტივები	8	6,000	4,608	5,283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,537	3,177	2,966
წინასწარ გადახდილი ხარჯები		91	83	83
ფული და ფულის ექვივალენტები	10	314	202	77
სულ მიმდინარე აქტივები		13,054	12,958	12,528
სულ აქტივები		18,386	19,488	20,249
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	11	595	595	595
გაუნაწილებელი მოგება		9,012	9,682	9,853
სულ კაპიტალი		9,607	10,277	10,448
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	890	114	8,108
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		50	80	4
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		940	194	8,112
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	12	5,258	6,597	9
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,135	2,036	1,290
საგადასახადო ვალდებულებები		446	384	390
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,839	9,017	1,689
სულ ვალდებულებები		8,779	9,211	9,801
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,386	19,488	20,249

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი

დირექტორი



9-36 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

პოულტრი ჯორჯია ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	595	9,853	10,448
სულ წლის სრული შემოსავალი	-	589	589
დივიდენდის გაცემა	-	(760)	(760)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	595	9,682	10,277
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 2)	-	(289)	(289)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული)	595	9,393	9,988
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(376)	(376)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	595	9,017	9,612

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჭუჭულაშვილი



დირექტორი

პოლტრი ჯორჯია ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
მოგება მოგების გადასახადის მერე		(376)	589
კორექტირებები:			
მოგების გადასახადი		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		563	241
საპროცენტო ხარჯი		637	695
ბიოლოგიური აქტივების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(1,839)	1,109
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,416	1,860
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან		(22)	(19)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		379	4,475
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(190)	(468)
მარაგების შემცირება შემცირება/(ზრდა)		776	(769)
ბიოლოგიური აქტივების შემცირება/(ზრდა)		448	(434)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება		22	55
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		287	340
გადახდილი პროცენტი		(631)	(642)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(63)
მიღებული პროცენტი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		1,091	2,494
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხა		(458)	(1,142)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული თანხები		239	472
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(219)	(670)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღებით მიღებული თანხები		1,760	-
სესხების გადახდით გასული თანხები		(2,338)	(1,341)
დივიდენდის გაცემა		(174)	(333)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(752)	(1,674)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		120	150
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	202	77
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე		(8)	(25)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	314	202

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2019 წლის 30 სექტემბერს:

ზურაბ ჟუჟულაშვილი

დირექტორი

